პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული და კომკავშირის კომიტეტების, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган ректората, парткома, профкома, месткома и комитета ЛКСМ Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 3 (64) | გამოცემის მესამე წელი. შაბათი, 16 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## გავაუმჯობესოთ ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადების საქმე

დღითი დღე უმჯობესდება სამეცნიერო კადრების მომზადების საქმე ჩვენს უნივერსიტეტში. უკანასკნელ ხანებში დიდად გაიზარდა დასაცავად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომების რიცხვი, რაც იმით აიხსნება, რომ ასპირანტთა და მასწავლებელთა დიდი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება სადისერტაციო თემაზე მუშაობას. გასულ წელს ჩვენს უნივერსიტეტში დისერტაცია დაიცვა 70 კაცმა, მათგან 51-ს უნივერსიტეტის ასპირანტურა აქვს დამთავრებული. ამას გარდა ცალკეულ შემთხვევებში, ჩვენს უნივერსიტეტში იცავენ დისერტაციებს სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილო კავკასიის ნაციონალური რესპუბლიკების წარმომადგენლებიც.

მაგრამ სამეცნიერო კადრების მომზადებაში ჯერ კიდევ გვაქვნია მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრა უნივერსიტეტის მთელი კოლექტივის გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სპეციალური მითითება ასპირანტთა მიერ წარმოდგენილი დისერტაციების პირველ რიგში გატარების შესახებ, სადისერტაციო ნაშრომების რეცენზირება ზოგჯერ გვიანდება. მაგალითად, ოფიციალურმა ოპონენტებმა გვიან წარმოადგინეს რეცენზიები ასპირანტების—მ. ბერძნიშვილის, თევზაძის, შოშიაშვილის, ჯაფარიძის, მ. ახობაძის და სხვათა ნაშრომებზე. ამისი მიზეზი ისიც არის, რომ მთელ რიგ დარგებში ჩვენ ცოტა გვყავს ან სულ არ გვყავს მეცნიერებათა დოქტორი, რის გამოც ზოგიერთი მეცნიერი ძალიან არის გადატვირთული რეცენზიებით. სამაგიეროდ ბევრი გვყავს ისეთი მეცნიერი, რომელიც 10—15 წელია სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს, მაგრამ ჯერაც არ დაუმთავრებია იგი.

სერიოზული ნაკლოვანებები გაჩნია ასპირანტების მუშაობასაც. ამჟამად უნივერსიტეტში 155 ასპირანტი ემზადება სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, მათგან 56 სადისერტაციო ნაშრომის ლიტერატურულ გაფორმებაზე მუშაობს.

მიმდინარე წლის 4 იანვარს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ განიხილა საკითხი მესამეკურსელ ასპირანტთა მუშაობის შესახებ. შემოწმებით გამოირკვა, რომ ასპირანტთა პირადი საქმეები ყოველთვის არ არის სათანადოდ გაფორმებული (ფილოლოგიის, ფილოსოფიის, ეკონომიური ფაკულტეტები).

ინსტრუქციით გათვალისწინებულია, რომ ასპირანტს სადისერტაციო ნაშრომისათვის თემა უნდა მიეცეს სწავლების პირველი წლის მეორე სემესტრში, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში თემის შეცვლა ან დაზუსტება შეიძლება არა უგვიანეს მესამე სემესტრისა. მაგრამ რიგ შემთხვევებში თემების შეცვლა მოგვიანებით, ზოგჯერ მესამე წლის დასაწყისში ხდება. მაგალითად, გასული წლის სექტემბერში იქნა შეცვლილი ასპირანტების ნ. ჩხეიძისა და ვ. ქაცარავას თემები. ასევე გვიან შეუცვალეს თემები ი. ვაშაკიძეს, ზ. დარჯანიას, ო. ლორთქიფანიძეს და სხვებს.

ასპირანტთა დიდი ნაწილი კალენდარული გეგმის მიხედვით მუშაობს და უკვე დაწერილი აქვს დისერტაციის გეგმით გათვალისწინებული ნაწილი. მაგრამ, სამწუხაროდ გვყავს ისეთი ასპირანტებიც, რომლებიც გეგმის შესრულებაში ჩამორჩებიან და თუ გადაჭრით არ გააძლიერეს მუშაობის ტემპები, საეჭვოა, რომ მათ შეძლონ დისერტაციების ვადაზე დამთავრება. აღნიშნულ ნაკლოვანებათა თავიდან აცილება ადვილად შეიძლებოდა, კათედრებსა და ფაკულტეტების პარტიულ ორგანიზაციებს რომ უფრო მეტი კონტროლი და დახმარება გაეწიათ ასპირანტებისათვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგიერთი მეცნიერი გადატვირთულია ასპირანტებით. მაგ. პროფ. გ. ახვლედიანთან ცხრა ასპირანტია მიმაგრებული, პროფ. ვ. მამასახლისოვთან—შვიდი. ცხადია, ასეთ პირობებში ძნელია ასპირანტის მუშაობაზე სათანადო ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა.

მართალია, მესამეკურსელ ასპირანტებს კურსის დამთავრებამდე 8 თვეზე მეტი დარჩათ, მაგრამ მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ ამ ვადაში უნდა მოსდეს დისერტაციის არა მარტო წარდგენა, არამედ დაცვაც; ამისათვის მათ მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ დარჩენილი დრო და მთელი ენერგიით იმუშაონ დისერტაციების დასამთავრებლად. ამასთანავე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პირველ და მეორეკურსელ ასპირანტთა მუშაობასაც. სისტემატურად უნდა შემოწმდეს მათ მიერ ინდივიდუალური გეგმების შესრულება.

ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილის, კათედრებისა და პარტიული ორგანიზაციის ვალია, უფრო მეტი კონტროლი და დახმარება გაუწიონ ასპირანტებს და უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ 1954 წლის 12 მარტს ვადა გასდის სსრ კავშირის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რწმუნებებს, სსრ კავშირის კონსტიტუციის 54 მუხლის საფუძველზე, რომლითაც დადგენილია, რომ ახალ არჩევნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ნიშნავს არაუგვიანეს ორი თვისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რწმუნებათა ვადის გასვლის დღიდან, და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 72 მუხლის შესაბამისად, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე ცხადდება არაუგვიანეს ორი თვისა არჩევნებამდე, და რომ არჩევნები ეწყობა არასამუშაო დღეს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები კვირას, 1954 წლის 14 მარტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 11 იანვარი.

---

### მზადება უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად

## დიდი თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენა

უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ ამ დღეებში მოაწყო დიდი გამოფენა, რომელიც შედგება 5 განყოფილებისაგან. განყოფილებაში—„რუსეთთან უკრაინის შეერთება" წარმოდგენილია მეტად საინტერესო მასალები. მათგან ყურადღებას იპყრობს სურათი: უკრაინელი ხალხის ქრონინული გმირი ბოგდან ხმელნიცკი სიტყვას ამბობს პერეიასლავის რადაში, მას დაძაბულად უსმენენ უკრაინის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში სისხლისაგან დაცლილი მებრძოლები. „რუსეთთან, ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი გვიხსნის ჩვენ"—თქვა ბოგდან ხმელნიცკიმ და ეს სიტყვები მთელი სიცხადით დაამტკიცა ისტორიის მსვლელობამ.

განყოფილებაში—„სსრ კავშირის ხალხთა დიდი მეგობრობა" წარმოდგენილია ექსპონატები უკრაინელი, რუსი, ქართველი, ბელორუსი და სხვა ხალხების მეგობრობის შესახებ. მნახველი ეცნობა, თუ როგორ შეიქმნა უკრაინაში დიდი რუსი ხალხის დახმარებით „საკავშირო პურის ბეღელი" და „დონბასის ქურა". აქვეა საბჭოთა უკრაინის ეკონომიკისა და კულტურის ამსახველი დიაგრამები, ცხრილები, ცნობები.

უხვადაა წარმოდგენილი მასალები დიდი სამამულო ომის შესახებ, სადაც მხარდამხარ იბრძოდნენ რუსები, უკრაინელები, ქართველები, სომხები, ტაჯიკები და სხვა.

განყოფილებაში—„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, როგორც სსრკ ხალხთა ძმური თანამეგობრობის ორგანიზატორი", ნათლად ჩანს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მთელი სიდიადე.

გამოფენის ცენტრშია მოთავსებული ხალხთა დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სტატიები და წერილები უკრაინის შესახებ.

გამოფენის უკანასკნელი განყოფილება დათმობილი აქვს ქართველი ხალხის უკრაინელ ხალხთან მეგობრობის ამსახველ ექსპონატებს.

ა. ფოცხვერაშვილი

## ლექციები და მოხსენებები

უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით ისტორიის ფაკულტეტი მრავალ ღონისძიებას ატარებს. ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები წარმოება-დაწესებულებებსა და მოსახლეობაში კითხულობენ ლექცია-მოხსენებებს ამ თარიღთან დაკავშირებულ თემებზე. სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის სპეციალობაში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლები კონსულტაციებს უტარებენ ამ საკითხზე მომუშავე სტუდენტებს, პროპაგანდისტებსა და საშუალო სკოლის მასწავლებლებს.

ფაკულტეტის კაბინეტებში მუშავდება დიდად თარიღთან დაკავშირებული სარეკომენდაციო ლიტერატურის სია და სხვ.

ნ. იაკობაშვილი

## სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში

უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება სამეცნიერო სესიას მიუძღვნის. სესიაზე ათამდე მოხსენება იქნება წარმოდგენილი. მოხსენებები შეეხება რუსეთთან უკრაინის შეერთების ისტორიულ მნიშვნელობას, უკრაინელი და რუსი ხალხის მეგობრული ურთიერთობის ისტორიას, უკრაინელი და ქართველი ხალხების თანამეგობრობის ისტორიულ ფესვებს, ხალხთა მეგობრობას სსრ კავშირში, უკრაინული კულტურის საკითხებს, ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი კ. ვეფხვაძე ამზადებს მოხსენებას უკრაინისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სამეურნეო თანამშრომლობის შესახებ და სხვა.

ამ თარიღთან დაკავშირებით, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭო ალკკ კომიტეტთან ერთად, ამზადებს რიბაკის წიგნის „პერეიასლავის რადა"-ს განხილვას.

უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად ემზადებიან მარქსიზმ-ლენინიზმის, ისტორიის, რუსული ლიტერატურისა და სხვა წრეებიც.

ო. ლორთქიფანიძე,
სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე.



უკრაინის სსრ. კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლებმა გაშალეს უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. მშენებელთა ნახევარზე მეტი დავალებას 150—200 პროცენტით ასრულებს, ორიათასზე მეტი კაცი ცვლაში სამჯერ აჭარბებს დაწესებულ საწარმოო ნორმას.

მშენებლობის ძირითად უბნებზე მიმდინარეობს ბეტონის ჩაწყობა, კეთდება ჰიდროელექტროსადგურის არმატურა, მთავრდება მშენებლობა ბეტონმიმწოდებელი ესტაკადისა.

**სურათზე:** ბეტონმიმწოდებელი ესტაკადის მშენებლობა.

ფოტო ი. ლიხუტისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

### რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში მონუმენტის აგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა აიგოს ქ. მოსკოვში კიევის ვაგზლის მოედანზე მონუმენტი რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად.

იმ მიზნით, რომ მონუმენტის შექმნაში ჩაბმულ იქნენ არქიტექტორთა, მოქანდაკეთა და მხატვართა ფართო წრეები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს მოაწყონ კონკურსი მონუმენტის საუკეთესო პროექტზე.

მონუმენტის მხატვრულ კომპოზიციაში უნდა აისახოს თვალსაჩინო ისტორიული მოვლენა — რუსეთთან უკრაინის შეერთება, რომლითაც დაგვირგვინდა უკრაინელი ხალხის მრავალი საუკუნის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ რუსეთის ერთიან სახელმწიფოში რუს ხალხთან გაერთიანებისათვის, უნდა აისახოს უკრაინელი და რუსი ხალხების ძმური კავშირი და ურღვევი მარადიული მეგობრობა.

# წარმატებით დავამთავროთ გამოცდები

## მაქსიმალურად გამოვიყენოთ სესიის დარჩენილი დრო

ჩვენი გაზეთის წინა და დღევანდელ ნომრებში მოთავსებული წერილებიდან ჩანს, რომ საზამთრო სესიები წელს წარმატებით დაიწყო.

ჩვენი სტუდენტობა მომზადებული შეხვდა სესიებს. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ 15 იანვრისათვის გამოცდებზე დაწერილი 8530 ნიშნიდან 7327 ფრიადი და კარგია. მაგრამ ჩვენ ამ მიღწევით ვერ დავკმაყოფილდებით. კარგ ხარისხობრივ მაჩვენებელთან ერთად, გვაქვს სუსტი მხარეებიც. ასე მაგალითად, დღეისათვის ცალკეულ საგნებში გამოცდებზე არ გამოვიდა 400-მდე სტუდენტი, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი თავის დროზე ვერ მოემზადნენ გამოცდებისათვის.

ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა დიდმა ნაწილმა საგნებში გამოცდებისათვის დანიშნული ბოლო დღეები აირჩიეს გამოცდაზე გასასვლელად ეს კი თავისებურ უარყოფით გავლენას ახდენს გამოცდების ნორმალურად ჩატარებაზე. ეს საკითხი მომავლისათვის უნდა გაითვალისწინონ უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილმა და დეკანატებმა და აღარ უნდა დაუშვან მსგავსი შემთხვევები.

რიგმა სტუდენტებმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს, რომ უმაღლესი განათლების მისაღებად საჭიროა სისტემატური და დაუღალავი შრომა, ლექცია-სემინარებზე სისტემატური დასწრება.

საჭიროა, ყველა სტუდენტმა მაქსიმალურად გამოიყენოს სესიების დარჩენილი დრო და საფუძვლიანად ჩააბაროს ყველა დარჩენილი საგანი.

**ი. გვარდჟითელი.**
უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო ნაწილში.

## ორგანიზებულად

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ორგანიზებულად დაიწყო გამოცდები. დეკანატმა სპეციალურ დაფაზე გამოაკრა მთელი ფაკულტეტის სტუდენტთა სია, ჯგუფების მიხედვით, საგამოცდო საგნების დასახელებითა და გამოცდის ვადის ჩვენებით. აღნიშნული დაფა სრულ წარმოდგენას იძლევა, თუ როგორია თითოეული ჯგუფისა და სტუდენტის მოსწრება ამა თუ იმ საგანში. მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანატის ეს საინტერესო წამოწყება უნდა გადაიღონ სხვა ფაკულტეტებმაც.

13 იანვარს ჩვენ დავესწარით პროფ. გ. ჭოღოშვილის გამოცდას უმაღლეს ალგებრაში, გამოცდას აბარებდნენ მეორე კურსის სტუდენტები. ჩვენი მისვლის დროს პროფესორს უკვე 12 სტუდენტი ჰყავდა გამოცდილი და გამოცდების მსვლელობით კმაყოფილი იყო. მართლაც, 13 სტუდენტიდან ფრიადი მიიღო ხუთმა, კარგი—ოთხმა, საშუალო—სამმა და მხოლოდ ერთმა—არადამაკმაყოფილებელი ნიშანი. ეს არის ვიქტორ მარგიევი, რომელმაც ზოგად ფიზიკაში „საშუალო", ხოლო უმაღლეს ალგებრაში „სუსტი" მიიღო. ეს გასაკვირიც არაა, რადგანაც ვ. მარგიევი სისტემატურად აცდენდა ლექციებს, პრაქტიკულ მეცადინეობას, განზე იდგა ჯგუფისაგან.

მოწინავეთა შორის პროფ. გ. ჭოღოშვილმა დაასახელა როლანდ სარჩიძე და გიორგი ბეჟიაშვილი; მაგრამ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა გაბრიელ ჯანჯალიშვილის ცოდნას. გ. ჯანჯალიშვილმა ამომწურავი პასუხი გასცა არა მარტო ბილეთის კითხვებზე, არამედ დამატებით კითხვებზეც და გამოამჟღავნა კარგი საერთო მომზადებაც. გ. ჯანჯალიშვილმა,—განაცხადა პროფ. გ. ჭოღოშვილმა,—გასული წლის იანვარში უმაღლესი ალგებრის პირველი ნაწილი ჩააბარა და მიიღო კარგი შეფასება. ამჟამად კი საგნის მეორე ნაწილში (რომელიც პირველ ნაწილსაც გულისხმობს) ფრიადი დაიმსახურა. მე კმაყოფილი ვარ საერთოდ გამოცდების მიმდინარეობით და სტუდენტთა ცოდნით, დასძინა პროფესორმა.

**გ. ზარდალიშვილი.**
სპეციალური კორესპონდენტი.

## მოწინავეებს უნდა მიჰბაძონ

რუკასთან არიან ეკონომიური ფაკულტეტის ვაჭრობის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტები—რაფიელ კოკობაშვილი და არჩილ წერეთელი; ისინი გამოცდას აბარებენ კავშირგარეშე ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ გეოგრაფიაში — დინჯად და დალაგებულად, ამომწურავად პასუხობენ ყველა კითხვაზე: ეტყობათ, მთელი პასუხისმგებლობით მომზადებულან.

მაგრამ ცუდია, რომ მათ გვერდით ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ნაკლებად იწუხებდნენ თავს სწავლით; ასეთები არიან, მაგალითად, იმავე კურსის სტუდენტები ვ. ქადაგიძე და ნ. სამადაშვილი. მათი აზრით საფრანგეთს სამხრეთით საბერძნეთი ესაზღვრება... ხოლო ფინეთი მდიდარია სპილენძით და ქვანახშირით. მათ არ იციან, თუ სად მდებარეობს გობის უდაბნო, ვერ პოულობენ რუკაზე პოლონეთს და მის სამრეწველო ცენტრებს.

დროა, ამთავითვე იფიქრონ მათ სიზარმაცის ამ სავალალო შედეგების თავიდან ასაცილებლად.

**ნ. დუმბაძე,**
სპეციალური კორესპონდენტი.



ფიზიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები წარმატებით აბარებენ გამოცდას ქიმიაში. უმრავლესობამ კარგი ნიშნები მიიღო. გამომცდელი დოც. თ. ცეცხლაძე ნასიამოვნებია სტუდენტთა კარგი მომზადებით.
**სურათზე:** სტუდ. ა. მკრტიჩიანი წარმატებით აბარებს გამოცდას.
ფოტო **ლ. ჭილაშვილისა**

⊖ ⊖ ⊖

## ბიოლოგიის ფაკულტეტზე

### დაფა იტყობინება

ჯერ კიდევ ადრე, როცა ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები სესიისათვის მზადებისადმი მიძღვნილ საერთო კრებაზე მსჯელობდნენ სესიის წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება —სასესიო დღეების „მეთვალყურე დაფის" მოწყობის შესახებ. დაფაზე უნდა აღნუსხულიყო თითოეული სტუდენტის საგამოცდო წარმატებანი. ასეთი „საჯაროობა" კი ერთგვარად გაზრდიდა სტუდენტთა პასუხისმგებლობას.

გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი. და ახლა „მეთვალყურე დაფა" უკვე იტყობინება გამოცდების მიმდინარე შედეგებს.

სტუდენტთა უმეტესობა დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს. ამიტომაც უმრავლეს სტუდენტთა გვარების გასწვრივ დაფაზე მხოლოდ ოთხიანები და ხუთიანები მოჩანს; ამ მხრივ ყურადღებას იპყრობენ სტუდენტები: გ. ღვალაძე, ი. ქორქია, ლ. კვირკველია, ვ. სეხნიაშვილი, ვ. კვინიკაძე, ნ. სიხარულიძე, მ. ყაზახაშვილი და სხვები. დაფა ამხელს ფაკულტეტის ზარმაც, ჩამორჩენილ სტუდენტებსაც, რომელთაც სამარცხვინო არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ მიღებული. ასეთთა რიცხვში არიან სტუდენტები: ნ. ფურცელაძე, ც. ცხადაია, რ. კაკაურიძე, თ. მაქაკარია, რ. ივანაური. სესიისადმი დამოკიდებულებაში მეტი სერიოზულობა და პასუხისმგებლობა გვმართებს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დაფაზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება არ დაიწეროს.

## სრული უპასუხისმგებლობა

მიღწევას საბჭოთა ადამიანი ჩვეულებრივ, თავისი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ, აუცილებელ მოვლენად თვლის; მისთვის აღმაშფოთებელია აქაიქ ზოგიერთის მიერ გამოვლინებული არაჯანსაღი, ჩვენთვის უცხო, უმსგავსო ქცევა.

მეც სწორედ ასეთზე მინდა გიამბოთ.

ბიოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელ პ. პ.-ს საშუალო სკოლა მედალზე აქვს დამთავრებული (თუმცა ეს გასაკვირველია). პრაქტიკულ მეცადინეობებზე, სემინარებზე გამოკითხვისას მისგან ხშირად გაიგონებდით ერთნაირ, სიჯიუტით ნათქვამ სიტყვებს: „ვისწავლე, ვიცოდი... დამავიწყდა, ვერ გიპასუხებთ"...

პ. პ. პირველ გამოცდაზევე (ადამიანის ანატომიაში) ჩაიჭრა, ამის შემდეგ მას, როგორც იტყვიან „გული აუცრუვდა" მუშაობაზე. მომდევნო გამოცდის წინ პ. პ.-საგან ისმოდა: „ამ წუთს არაფერი მახსოვს, ყველაფერი დამავიწყდა", „ახლა ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, „ორიანს" მივიღებ თუ „სამიანს" და სხვა მისთანანი.

პ. პ. არცხვენს მშობლიურ სკოლას აღმზრდელ მასწავლებლებს.

განა მოსათმენია ამგვარი უპასუხისმგებლობა—ისიც მედლოსნისაგან?

**ა. სოფრომაძე**

## უკეთ ვისწავლოთ

ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსი რუსული ლიტერატურის ისტორიას აბარებდა. საპასუხოდ გამოვიდა სტუდენტი ლ. მ. გამომცდელის (უფროსი მასწავლებელი თ. ბუაჩიძე) შეკითხვაზე, თუ როდის დაიწერა „ამბავი იგორის ლაშქრობისა", სტუდენტმა უპასუხა: როცა... ცეცხლი მოეკიდა. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა 1812 წელს მოსკოვში, რა დაწერა რადიშჩევმა, გერცენმა. ასეთი „ცოდნა", ბუნებრივია, არადამაკმაყოფილებელი ნიშნით შეფასდა. აღსანიშნავია, რომ გამომცდელის დამხმარე შეკითხვების მიუხედავად, ზოგი სტუდენტი ელემენტარულ საკითხებზე ვერ პასუხობდა. უმრავლესობა კონსპექტურ ცოდნას ამჟღავნებდა და ზეპირ ფრაზებს ხმარობდა.

**ფ. ალექსიძე**

## მოწინავეებთან

14 იანვარს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გრძელდებოდა სესიები; დეკანატში სიამოვნებით აღინიშნა საინტერესო ფაქტი: V კურსის სტუდენტმა, სტალინის სახელობის სტიპენდიანტმა გურამ კვინიკაძემ სესიები უკვე დაამთავრა. მან ოთხი საგანი ჩააბარა, ოთხივე—ფრიადზე.

გურამის თანაკურსელები—მათემატიკური განყოფილების სტუდენტები—რიცხვთა თეორიას აბარებდნენ დოც. პ. კოლონიასთან. ლიანა შავლიაშვილმა ამომწურავად უპასუხა კითხვებზე.

პირველკურსელებთან ანალიზურ გეომეტრიაში გამოცდებს იბარებდნენ პროფესორი ა. ჩახტაური და ასისტ. გ. თევზაძე.

გამოცდაზე გადის მაყვალა ბედოევა. პასუხის გაცემის დროს გოგონა ღელავს, მაგრამ გამოცდილი პედაგოგი თანდათანობით ავლენს სტუდენტის ღრმა ცოდნას. მაყვალას ერთნაირად კარგად ესმის საკითხების გეომეტრიული და ანალიზური მხარე. ნასიამოვნები პროფესორი კმაყოფილებით უწერს მას ფრიადს. გამოცდის შემდეგ მაყვალასთან საუბარში საინტერესო ფაქტი ირკვევა: მას მათემატიკა თავიდანვე ჰყვარებია, მაგრამ თავის მომავალ სპეციალობად ერთი შემთხვევის წყალობით აურჩევია. სკოლაში სწავლის პერიოდში ერთხელ იგი პიონერთა სასახლეში მათემატიკის საკითხებზე პროფ. ა. ხარაძის მოხსენებას დასწრებია, გაუტაცნია მოხსენებაში გაშუქებულ საკითხებს და გადაუწყვეტია ღრმად შეესწავლა მომავალში მათემატიკური მეცნიერებანი.

იგი არჩევანში არც შემცდარა,—ჯერჯერობით ორი საგანი ჩააბარა და ორივეში ფრიადი შეფასება დაიმსახურა. საინტერესოა, რომ პირველი ფრიადი მან სწორედ პროფ. ა. ხარაძესთან მიიღო მათემატიკური ანალიზის კურსში.

**თ. ებანოიძე,**
სპეციალური კორესპონდენტი.



გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდა კარტოგრაფიაში. სურათზე: დოც. ალ. ასლანიკაშვილი (მარცხნივ) და ასისტ. მ. ჰეიშვილი (მარჯვნივ) ცდიან სტუდენტებს: ნ. გვასალიას, ქ. ხუციშვილს და ზ. ფარცხალაძეს.

ფოტო **ლ. ჭილაშვილისა**

## გამოცდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში

ისტორიის ფაკულტეტის I კურსის მეორე ჯგუფის სტუდენტები გამოცდას აბარებდნენ ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

სტუდენტთა ძირითადი მასა გამოცდაზე კარგად მომზადებული გამოცხადდა.

განსაკუთრებით კარგად უპასუხეს სტუდენტებმა: ლ. მაკალათიამ, ი. სურგულაძემ, თ. ტიგაძემ; მათ სრულიად დამსახურებული ფრიადი შეფასება მიიღეს.

ორმა სტუდენტმა—ნ. ჯავახაძემ და ლ. ფარცხალაძემ არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ორივე სტუდენტი თბილისის ქალთა მე-5 სკოლის კურსდამთავრებულია. მათ ბილეთის ვერცერთ კითხვაზე ვერ უპასუხეს, ვერ ერკვეოდნენ ელემენტარულ საკითხებშიც კი. ამ სტუდენტებს განსაკუთრებით დიდი შრომა დასჭირდებათ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტის სახელი.

**თ. ქართველიშვილი**
სპეციალური კორესპონდენტი.



ფიზიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტები გაცხოველებით ემზადებიან გამოცდის ჩასაბარებლად ფიზიკის ისტორიაში.
**სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ) სტუდენტები გ. ვაჩიბერიძე, ე. ჭიპინაძე, რ. საკანდელიძე, ლ. ბოდოკია, გ. სალუქვაძე და ნ. ბიბილაშვილი მეცადინეობის დროს.

ფოტო **ლ. ჭილაშვილისა**

# ერთი წერილის გამო

ქართულ ენაზე პოეტური თარგმანის საკითხების შესახებ ლიტერატურა ისე მდიდარია. ამდენად უდაოდ სასიამოვნო და სასიხარულო მოვლენაა ჟურნალ „მნათობის" მეთერთმეტე ნომრის ფურცლებზე მოთავსებული წერილი, რომელიც ეკუთვნის ლექსთწყობის ცნობილ მკვლევარს ვაკო გაწერელიას. წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ მასში საერთო ღირსებასთან ერთად, შეიმჩნევა ნაკლოვანებანიც. წერილში გვხვდება ზოგიერთი ისეთი უზუსტო, უფრო სწორად, მცდარი გამოთქმები, რომელთა გვერდის ავლა ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია.

ჯერ ერთი, გაუგებარია და გაუმართლებელი ტერმინის „მუჰამბაზის" (გვ. 142) ხმარება. ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული „მუხამბაზი" სრულად შეესატყვისება არაბულ-სპარსულ „მუხამმასს", რაც ნიშნავს ხუთეულს, ხუთაინს.

გაუმართლებელია „ირანულის" ხმარება სპარსული ენის მნიშვნელობით. ირანული ენა არ არსებობს, არსებობს ირანული ენები და მათ შორის—სპარსული.

გაუგებრობას იწვევს ფრაზა: „ირანული სტროფიკის ერთ-ერთ ძირითად სახეს, ღაზელს (ორტაეპედს), რომლითაც დაწერილია ფირდოუსისა და ნიზამის პოემები, ქართველი პოეტები ერთრითმიანი ოთხტაეპედით (შაირის სტროფი) გადმოსცემდნენ" (გვ. 144). აქ სულ ცოტა—ორი შეცდომაა. ჯერ ერთი, რომ ღაზელი არ ნიშნავს ორტაეპედს. ორტაეპედია ბეითი, ღაზელი კი მოკლე ლირიკული ხასიათის ლექსია, თავისებური რითმით (a, a, b, a, c, a, d, a.... ამასთან, სპარსული ლექსის ძირითადი სახე ღაზელი კი არა—მესნევია (a, a, b, b, c, c,...) და სწორედ მესნევით არის დაწერილი ფირდოუსისა და ნიზამის პოემები. თქმა იმისა, რომ „შაჰ-ნამე" ან „ხოსროვშირინიანი" ღაზელით არის დაწერილი, აშკარა შეცდომაა.

არაზუსტია და მცდარი შემდეგი ფრაზაც: „ამიტომაც გასაგებია ის ფაქტი, რომ ქართულად სრულიად არ უთარგმნიათ ირანული სუფიური—ხშირად ბნელი და მისტიკურ-ჰედონისტური—ლირიკის ნიმუშები (ჯემალ ედ-დინ რუმის, ჰაფეზის და სხვა პოეტებისა)". ჯერ—ერთი, პოეტს ერქვა ჯელალ ედ-დინ რუმი, და არა ჯემალ-ედ-დინ რუმი*, და მეორეც, სახელგანთქმული ლირიკოსის, ღაზელის ოსტატის —ჰაფეზის გამოცხადება ბნელ მისტიკოსად გაუმართლებელია. საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეობამ დიდი ხანია გამოავლინა ჰაფეზის ნამდვილი სახე და უარყო ბურჟუაზიული ირანისტიკის ის ხელოვნური და ყალბი დებულება, რომელსაც იმეორებს აღნიშნული წერილის ავტორი.

„მიუხედავად ამ შეცდომებისა, რომელიც მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, ა. გაწერელიას ზემოდასახელებული წერილი საერთოდ მეტად საყურადღებოა და დიდ ინტერესს იწვევს.

**ალ. გვახარია**

* ეს არ არის კორექტურული შეცდომა. ამას მოწმობს ის, რომ ა. გაწერელია ამ სახელს სხვაგანაც ასე მცდარად წერს. (იხ. გრ. ორბელიანი, პოეზია, ა. გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1951 წ., გვ. 160).

# სტუდენტთა სამეცნიერო ექსპედიცია

რამდენიმე წელია ფილოლოგიის ფაკულტეტი აწყობს სტუდენტთა საენათმეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართველურ და სხვა კავკასიურ ენათა და დიალექტთა შესასწავლად, ხალხური სიტყვიერების ნიმუშებისა და სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის ამსახველი ლექსიკური მასალის შესაკრებად.

1953 წლის ზაფხულშიც მოეწყო რამდენიმე ექსპედიცია ქართლში, კახეთში, საინგილოში, ყაზბეგსა და სვანეთში, აგრეთვე საქართველოს გარეთ—დაღესტანში.

სვანეთის ექსპედიციაში მონაწილეობდნენ სტუდენტები: მ. ძიძიშვილი, არ. თაყაიშვილი, ნ. გოგუაძე, ბ. კიკვიძე, გ. თოფურია, მ. კელენჯერიძე, მ. ჩხარტიშვილი, ეკ. მიქაბერიძე, ლ. ქიჯაია და მ. ტყეშელაშვილი. ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ზ. ჭუმბურიძე და ლაბორანტი გ. კაჭარავა.

მესამეკურსელები ის. ალიევი და ნ. როსტიაშვილი გაემგზავრნენ საინგილოში; გ. გელოვანი და ელ. ბექაური ყაზბეგში; მ. მელითაური და ლ. აბუაშვილი ქართლში, გორის რაიონში.

დაღესტანში ხუნძურ ენას სწავლობდნენ ო. ლომსაძე და ზ. ჯაფარიძე.

კახეთის ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ V კურსის სტუდენტები: ლ. ბარამიძე და ი. კიკნაძე, IV კურსის სტუდენტები: თ. ლომაძე, ჰ. აგრბა და ელ. კოშორიძე, III კურსის სტუდენტები: გ. კიკნაძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ც. თოდუა, ბ. გიგინეიშვილი და II კურსის სტუდენტები: გ. კარტოზია და ივ. ჰეიდარიშვილი. ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ალ. ფიცხელაძე და უნივერსიტეტის ქართული ენის კაბინეტის ლაბორანტი ლ. ჰეიშვილი.

სტუდენტებმა დაათვალიერეს ისტორიული ძეგლები და ღირსშესანიშნავი ადგილები.

სვანეთში მიულინებულნი მესტიის მუზეუმში გაეცნენ ქართული კულტურის უძველეს ნიმუშებს, ძველ ხელნაწერებს. განსაკუთრებით მათი ყურადღება მიიპყრო ცნობილმა ადიშის ოთხთავმა, რომელიც გადაწერილია 897 წელს.

კახეთის ექსპედიციამ თელავში დაათვალიერა ერეკლე მეორის სასახლე, სადაც ამჟამად მოთავსებულია მუზეუმი და პედაგოგიური ინსტიტუტი, ალავერდის ტაძარი, პანკისის ხეობა, ხოლო ყვარელში ილიას სახლ-მუზეუმი და სხვ.

ახალი ადგილებისა და ისტორიული ძეგლების გაცნობით სტუდენტებმა მიიღეს წარუშლელი შთაბეჭდილება და გაიღრმავეს ცოდნა. შემდეგ სტუდენტები შეუდგნენ ძირითადი საქმის შესრულებას.

ჩვენ აქ შევეხებით კახეთის ექსპედიციის მუშაობას.

კახეთის ექსპედიცია დაიყო რამდენიმე ჯგუფად. სტუდენტები განაწილდნენ სოფლების მიხედვით.. მ. გოგიჩაიშვილი და მე ვეწვიეთ ახალსოფელს, რომელსაც ძველად ბეჟანიანს ეძახდნენ, ხოლო შემდეგ გავაზს. მართლაც რომ ახალი სოფელია! იგი მაშინვე მიიპყრობს მნახველის ყურადღებას თავისი ფართო და სწორი გზებით, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა „პლანს" უწოდებს. სოფელი საკმაოდ დიდია—აქ ცხოვრობს 1700 კომლი.

მოსახლეობამ გულთბილად მიგვიღო. ზაფხულში გაცხოველებული მუშაობაა და მთელი სოფელი გაკრეფილია მინდვრად. ამის გამო ჩვენც კოლმეურნეობის ზანდვრებში გვიხდებოდა ყოფნა. აქ ვხედავდით კოლმეურნეთა ძმურ თანამშრომლობას, ვისმენდით ახალი ცხოვრებით გულგახარებული ახალსოფლელების სიმღერას, ჩვენი თვალით ვხედავდით კოლექტიური შრომის ნაყოფიერებას, ვებმებოდით შრომის ფერხულში. როდესაც დაღლილი კოლმეურნეები ისვენებდნენ ჩვენც ვცდილობდით რამე მოგვესმინა და ჩაგვეწერა მათგან. ამ მხრივ დიდ დახმარებას გვიწევდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე საბა ერგემიძე, რომელიც ხუმრობით ეტყოდა გლეხებს: ვინც კარგ ზღაპარს ეტყვის ამ გოგონებს, იმას მეტი შრომადღე დაეწერება. დაუზარელი იყო „ბრიგადელი" (როგორც ისინი უწოდებდნენ) ივანე ლოხოშვილი. მან მართლაც ბევრი საინტერესო ამბავი, გამოცანა და შაირი ჩაგვაწერინა. ზოგი კიდევ შეგვენიშნავდა: „რა დროს ზღაპარია ამ შუადღისგულზედა, ზამთარი რო იყოს, ცეცხლა პირათ რო ვისხდეთ, სხვა არის".

ექსპედიციაში მყოფმა სტუდენტებმა ერთი თვის განმავლობაში შეკრიბეს საკმაოდ მდიდარი მასალა (თითოეულმა დაახლოებით ორას-ორასი გვერდი), რომელიც საინტერესოა როგორც ენათმეცნიერული ისე ფოლკლორული თვალსაზრისით.

შეგროვილი მასალა და ექსპედიციის მონაწილეთა ვრცელი ანგარიშები წარედგინა კავკასიურ ენათა და ახალი ქართული ენის კათედრებს. ექსპედიციათა ანგარიში მოსმენილ იქნა საენათმეცნიერო წრისა და ახალი ქართული ენის კათედრის სხდომებზე.

ანგარიშებში საკმაოდ ვრცლად იყო ნაჩვენები მუშაობის ხასიათი და შედეგები. ანგარიშებიდან გამოირკვა, რომ შეკრებილი მასალა ჟანრობრივად მრავალფეროვანია. აქ არის საინტერესო ზღაპრები, არაკები, გამოცანები, ძველი და ახალი შაირები, ლექსები, ანდაზები და სხვა. სტუდენტებს ბევრი საინტერესო თავისებური მოვლენა შეუნიშნავთ როგორც ფონეტიკური, ისე მორფოლოგიური და სინტაქსური ხასიათისა.

ამჟამად წარმოებს შეგროვილი მასალის დამუშავება. ზოგი სტუდენტი ამ მასალის ანალიზის საფუძველზე ამზადებს სადიპლომო შრომას, სტუდენტთა უმეტესობა კი მოხსენებებს წაიკითხავენ სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის სხდომებსა და სამეცნიერო კონფერენციაზე. გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ მოეწყოს თელავის პედაგოგიური ინსტიტუტისა და ექსპედიციის მონაწილე სტუდენტთა გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მოსმენილი იქნება მოხსენებები შეკრებილი მასალების მიხედვით.

სტუდენტთა საენათმეცნიერო ექსპედიციებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი შესანიშნავი საშუალებაა იმ თეორიული ცოდნის განსამტკიცებლად და გასაღრმავებლად, რომელიც სტუდენტებს უნივერსიტეტში მიუღიათ. იგი ხელს უწყობს სტუდენტებს დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობის ჩვევათა გამომუშავებაში და უვითარებს კვლევით უნარს.

**ელ. კოშორიძე.**

ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.



**სურათზე:** ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ც. თოდუა ფოლკლორულ მასალას იწერს 90 წლის მოხუცი ქალის—ნინო ძამუკაშვილისაგან.

# ზეინაბ კერაშევა — პირველი ადიღე ქალი — მეცნიერების კანდიდატი

1945 წელს ჩვენს უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების რუსულ სექტორზე შემოვიდა ახალგაზრდა ადიღე ქალი ზეინაბ იბრაჰიმის ასული კერაშევა. ამ წელს პირველად გაიხსნა კავკასიურ ენათა განყოფილების რუსული სექტორი, რომელზედაც ამჟამად სწავლობენ ადიღეელები, ყაბარდოელები, ლაკები, აფხაზები.

მუშაობის დაწყებისთანავე ზეინაბ კერაშევამ მიიპყრო ხელმძღვანელებისა და ამხანაგების ყურადღება იშვიათი შრომისუნარიანობით, ცოდნის მრავალმხრივობითა და სიღრმით, სწავლისადმი მეტად კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით.

ხუთი წლის სისტემატურმა მუშაობამ, იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე ყოველდღიურმა ზრუნვამ, საუკეთესო პედაგოგიური ძალების ხელმძღვანელობამ შესაძლებლობა მისცეს ზეინაბ კერაშევას უნივერსიტეტის მოწინავე სტუდენტთა რიგებში ჩამდგარიყო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ზეინაბ კერაშევა დატოვებული იქნა კავკასიურ ენათა კათედრის ასპირანტად ადიღეურ ენათა სპეციალობით დოც. გ. როგავას ხელმძღვანელობით. სხვა საგნებთან ერთად, სამი წლის განმავლობაში ზეინაბ კერაშევა სწავლობს ადიღეურ ენათა აგებულებასა და ისტორიას, აღრმავებს თავის ცოდნას ადიღეურის მონათესავე ენათა აფხაზურისა და ქართულის შესწავლით, წერს საყურადღებო გამოკვლევებს ზოგადი ენათმეცნიერებისა და ადიღეურ ენათა აგებულების არსებითი საკითხების შესახებ.

1953 წლის ივნისში ზეინაბ კერაშევამ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოადგინა ნაშრომი„—ადიღეური ენის შაფსუღური კილოს თავისებურებანი". ენობრივი მასალა, რომელსაც ემყარება ნაშრომი, შეკრებილია ზეინაბ კერაშევას მიერ ადგილზე, შაფსუღებით დასახლებულ სოფლებში. მოპოვებული მასალა 15 თაბახს შეადგენს. ამგვარი სისრულით შაფსუღური ტექსტები არავის ჩაუწერია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ზეინაბ კერაშევამ დაუზრკოლებლად გამოიყენა ქართულ ენაზე არსებული სპეციალური ლიტერატურა.

1953 წლის 30 დეკემბერს დაინიშნა დისერტაციის დაცვა. ოფიციალურმა ოპონენტებმა პროფ. არნ. ჩიქობავამ, პროფ. ქ. ლომთათიძემ და დოც. ევგ. ჯეირანიშვილმა მაღალი შეფასება მისცეს ნაშრომს. ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა ზეინაბ კერაშევას ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ზეინაბ კერაშევა პირველი ადიღეჩ(ერ)ქალი—მეცნიერებათა კანდიდატი.

სასიამოვნოა და სასახელო, რომ ზეინაბ კერაშევა ჩვენი უნივერსიტეტის გაზრდილია.

მოძმე ხალხთა შვილების აღზრდის საქმეში ჩვენს უნივერსიტეტს დიდი ტრადიცია აქვს. აქ ეზიდებიან მეცნიერებათა საფუძვლებს და იცავენ სამეცნიერო ხარისხებს რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანლები, ადიღეელები, ყაბარდოელები, ხუნძები, ლაკები, ოსები. ხალხთა შორის ამგვარი კულტურული თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შეოხებით.



რამდენიმე დღის წინ ადიღეს საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის—ამხ. ი. ჩუნდოკოვისაგან ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებმა არნ. ჩიქობავამ, ქ. ლომთათიძემ და დოც. გ. როგავამ მიიღეს შემდეგი წერილი:

**Адыгейский облисполком выражает Вам лично и всему коллективу Университета благодарность за проявленную заботу и воспитание первого кандидата наук женщины адыгейки Зайнаб Керашевой и желает Вам самых больших успехов в благородном служении Советскому народу.**

ზეინაბ კერაშევას გამარჯვება, ეს ჩვენი უნივერსიტეტის [illegible]რიგი გამარჯვებაა მოძმე ადიღე ხალხის კულტურული წინსვლისათვის ხელშეწყობის კეთილშობილურ საქმეში.

ვუსურვებთ ჩვენს ძვირფას ამხანაგს შემდგომ წარმატებებს მომავალ სამეცნიერო მუშაობაში ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ნ. ანდღულაძე**

# იანვრის არდადეგების პერიოდში

მალე დამთავრდება გამოცდები და დაიწყება ზამთრის არდადეგები.

სტუდენტთა პროფკომმა და ალკკ კომიტეტმა შეიმუშავა სტუდენტთა კულტურული დასვენების გეგმა. იგი ისეა აგებული, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, მეტად მრავალფეროვნად და შინაარსიანად გაატარონ ზამთრის არდადეგები.

ბევრი სტუდენტის ოცნება სინამდვილედ იქცევა. უნივერსიტეტის სპორტელი ღირსების დაცვასთან ერთად სტუდენტები ინახულებენ მოსკოვს, ლენინგრადს, ლვოვს, მინსკს, კიევს, ოდესას და სხვა ქალაქებს.

ზამთრის არდადეგების პერიოდში სტუდენტები ესტუმრებიან მზითა და თოვლით განთქმულ ბაკურიანს, იქ გაიკაჟებენ ისინი თავიანთ სხეულს.

შინაარსიანად გაატარებენ არდადეგებს ის სტუდენტებიც, რომლებიც თბილისში დარჩებიან. არდადეგების პერიოდში მათთვის მოეწყობა კოლექტიური სვლები. თეატრებსა და კინოთეატრებში. მოეწყობა აგრეთვე სტუდენტთა კოლექტიური სვლები და ექსკურსიები თბილისის მუზეუმებში და ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში.

სტალინური მარშრუტი განსაკუთრებით იტაცებს სტუდენტებს, ისინი დაათვალიერებენ ავლაბრის ყოფილ არალეგალურ სტამბას, თბილისის ობსერვატორიას და სხვა შესანიშნავ ადგილებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გეგმით გათვალისწინებული ექსკურსია ბაქოში, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მხატვრული თვითმოქმედი წრეების წევრები 80 კაცის შემადგენლობით. ისინი მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქში დაათვალიერებენ ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს და გამართავენ კონცერტებს. განზრახულია, რომ მათ ცალკე კონცერტი მოაწყონ ბაქოს ქართული საშუალო სკოლისათვის.

უნივერსიტეტში 3 თებერვალს მოეწყობა „ღია კარების დღე". მასში მონაწილეობას მიიღებენ ქ. თბილისის საშუალო სკოლების მოსწავლეები. ისინი დაათვალიერებენ უნივერსიტეტის მდიდარ კაბინეტებს, ჩაუტარდებათ საუბარი და სხვ. ყოველივე ეს მათ დაეხმარებათ მათი მომავალი პროფესიის არჩევაში.

სწავლის განახლების დღეს, 7 თებერვალს, უნივერსიტეტში მოეწყობა დიდი ბალ-მასკარადი. მასში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი.

**ნ. ლეონიძე,**

სტუდენტთა პროფკომის კულტმასობრივი მუშაობის კომისიის წევრი.

## სამეცნიერო გეოგრაფიული ბიბლიოთეკა

ჩვენი უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოგრაფიულ განყოფილებასთან არსებობს სამეცნიერო-გეოგრაფიული ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკის ფონდი შეიცავს 16000-ზე მეტ წიგნს ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე (პერიოდიკის ჩათვლით ბიბლიოთეკაში 1000-მდე სპეციალური და სასწავლო-გეოგრაფიული რუკაა, აგრეთვე ცალკეული მონოგრაფიები, ატლასები და სხვ. ბიბლიოთეკას აქვს ბევრი უნიკალური გამოცემა.

ბიბლიოთეკაში ცალკეა გამოყოფილი მასალები არა მარტო კავკასიისა და საქართველოს, არამედ საქართველოს კუთხეების შესახებაც კი (იმერეთი, გურია და ა. შ.). ამ უმდიდრესი მასალის შეგროვებასა და დაკომპლექტებაში პროფესორ ალექსანდრე ჯავახიშვილთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის ბიბლიოთეკის გამგეს ლ. მგალობლიშვილს. იგი 1929 წლიდან განუწყვეტლივ მუშაობს აქ; თითქმის ყოველდღე ნახავთ მას მოსაუბრეს სტუდენტებთან, ასპირანტებთან; იგი ეხმარება მათ რომელიმე საკითხის ირგვლივ მასალის შეგროვება-დამუშავებაში. სტუდენტები მისგან ყოველთვის ამომწურავ პასუხებს იღებენ.

უახლესი გეოგრაფიული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ბიბლიოთეკაში ცალკეა გამოფენილი. ერთი კარადა სპეციალურად ენციკლოპედიებსა და სხვადასხვა დროს გამოცემულ გეოგრაფიულ ლექსიკონებს აქვს დათმობილი. ცალკეა გამოფენილი გეოგრაფიული რუკები და ატლასები, ბიბლიოთეკა გეოგრაფიული ცოდნის ფართო პოპულარიზაციის ნამდვილ კერას წარმოადგენს.

სამეცნიერო-გეოგრაფიული ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს უნივერსიტეტის 5 კათედრას (გეომორფოლოგიის, ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის, ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობის, ნიადაგმცოდნეობისა და ეკონომიური გეოგრაფიის), გარდა ამისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტს, უნივერსიტეტის ასპირანტებსა და სტუდენტებს.

გამოცდილების გაზიარებისა და მუშაობის უკეთ დაყენების მიზნით სამეცნიერო-გეოგრაფიულ ბიბლიოთეკას კავშირი აქვს დამყარებული სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების ბიბლიოთეკასთან, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკასთან, ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს ლენინგრადის განყოფილებასთან, რომელთაგანაც გაცვლითი წესით ამდიდრებს თავის წიგნად ფონდს.

**რ. კვერენჩხილაძე**

## ნაძვისხე უნივერსიტეტში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილკომმა ამა წლის 10 იანვარს მოაწყო საახალწლო ნაძვისხე უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა შვილებისათვის.

ნაძვისხის ზეიმზე მონაწილეობა მიიღო 1160 ბავშვმა. მათ შორის მოპატიჟებულნი იყვნენ I საბავშვო ბაღის 25 ბავშვი და ვაკის საბავშვო სახლის 72 აღსაზრდელი. ბავშვებს მხატვრულ მომსახურებას უწევდნენ მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობები. ზეიმის დასასრულს ბავშვებმა მიიღეს ლამაზ პარკებში ჩაწყობილი საჩუქრები.

**ლ. დოლიძე**



უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის მეოთხე სართულზე მოთავსებულია გეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. აქ ხშირად ნახავთ ჩვენი უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის და ასპირანტებს, რომელნიც გულმოდგინედ სწავლობენ საყვარელ საგანს.

**სურათზე:** გ/გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ბიბლიოთეკის ოთახში მეცადინეობის დროს.

ფოტო ლ. ქილაშვილისა

## შეხვედრა ცუდად ჩატარდა

ამას წინათ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა დრამატიული წრის წევრების შეხვედრა უნივერსიტეტის თეატრალური კოლექტივის ყოფილ წევრებთან.

სამწუხაროდ, ეს კარგი და საინტერესო ღონისძიება მეტად არაორგანიზებულად ჩატარდა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ დარბაზი სავსე იყო შემთხვევითი პირებით, რომლებიც მოსაწვევი ბარათის გარეშე იყვნენ შემოსულნი. ამან კი ის გამოიწვია, რომ საზეიმო ნაწილისა და მხატვრული განყოფილების მიმდინარეობის დროს ადგილი ჰქონდა წესრიგის დარღვევის შემთხვევებს, უხეშ წამოძახილებს, ხმაურს და სხვა.

მოგონებებით გამოსული ამხანაგებიც არ იყვნენ მთელი პასუხისმგებლობით მომზადებულნი.

საკონცერტო განყოფილება მეტად გაჭიანურდა. წრის წევრებმა მაყურებელს უჩვენეს ნაწყვეტები პიესებიდან—„რევიზორი", „ვერაგობა და სიყვარული" და „მშვიდობის კონგრესზე". შეიძლებოდა ერთ-ერთი მათგანის არჩევა და უკეთ მომზადება.

განსაკუთრებით სუსტი იყო სცენები „ვერაგობა და სიყვარულიდან".

მეორე განყოფილებაც მთლიანად მოძველებული რეპერტუარით შეივსო.

ამრიგად, მაყურებელთა ინტერესი ძალზე შემცირდა.

კლუბის გამგეობამ და წრის ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინონ ყოველივე ეს შემდგომი მუშაობისათვის.

**თ. გიორგაძე**

## სასარგებლო წამოწყება

მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში აღმოსავლეთის ისტორიის კათედრასთან შეიქმნა სემინარი, რომელშიც გაერთიანებული არიან კათედრის წევრები და ასპირანტები. სემინარის მიზანი ის არის, რომ მისმა წევრებმა განსახილველად გამოიტანონ ისეთი საკითხები, რომლებზეც კათედრის წევრები და ასპირანტები კვლევით მუშაობას ეწევიან. სემინარის სხდომებს ესწრებიან აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის უფროსი კურსის სტუდენტები და ფაკულტეტის სხვა კათედრების წევრებიც. დაინტერესებული ამხანაგები წინასწარ ეცნობიან განსახილველ მოხსენებებს აღმოსავლეთის ისტორიის კაბინეტში.

გასულ სემესტრში ჩატარდა სემინარის სამი სხდომა, რომლებზეც მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები: „სოიურღალი და თიული ქართულ-სპარსულ ორენოვან საბუთ[illegible]ი" (მომხსენებელი დოც. ვ. გაბაშვილი), „აგრარული რეფორმის საკითხისათვის ეგვიპტეში" (მომხსენებელი—ასპ. შ. კურდღელაშვილი), „აქემენიდთა ირანის იმპერიის ხასიათის საკითხი ერისა და ენის შესახებ სტალინური მოძღვრების შუქზე" (მომხსენებელი ასპ. ზ. შარაშენიძე). მომხსენებლებმა მსმენელებს გააცნეს ახალი მასალები და თავიანთი დაკვირვებანი აღნიშნულ საკითხებზე. წაკითხული მოხსენებების გამო გაიმართა აზრთა გაზიარება, რომლის დროს გამოითქვა საინტერესო და საქმიანი შენიშვნები. როგორც ჩატარებულმა სემინარებმა გვიჩვენა, ასეთი წესით მუშაობა დიდ დახმარებას უწევს კათედრის წევრებსა და ასპირანტებს მათს სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში.

სემინარი მუშაობას განაგრძობს მომავალ სემესტრშიც. მოხსენებების გარდა მოსმენილი იქნება რეცენზიები ახლად გამოსულ აღმოსავლურ ისტორიულ ლიტერატურაზე.

**ვ. ჩოჩიევი**

## ქართველი მათემატიკოსების შრომების გამოცემა საზღვარგარეთ

⊙ **გრონინგენში** (ჰოლანდია) ინგლისურ ენაზე გამოსცეს აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის ცნობილი მონოგრაფიები — „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ძირითადი ამოცანები" და „სინგულარული ინტეგრალური განტოლებები".

ორივე მონოგრაფია საბჭოთა მათემატიკის მნიშვნელოვანი მიღწევაა და როგორც ერთი, ისე მეორე შრომისათვის აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილს მინიჭებული აქვს სტალინური პრემიები.

გრონინგენში ინგლისურ ენაზე გამოცემული აღნიშნული მონოგრაფიები ამ დღეებში მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. მ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა.

⊙ **ამერიკულმა ჟურნალმა „Matematical Review"** („მათემატიკის მიმოხილვა") გასული წლის ოქტომბრის ნომერში გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1952 წელს ლოს-ანჯელოსში (აშშ) ინგლისურ ენაზე გამოვიდა პროფესორ ვ. დ. კუპრაძის მონოგრაფია „დიფრაქციის მათემატიკური თეორიის ძირითადი ამოცანები (სტაციონარული პროცესები)". თარგმანი შესრულებულია ს. დ. ბენსტერის მიერ.

აღნიშნული წიგნი რუსულ ენაზე გამოიცა 1935 წელს საერთო ტექნიკური ლიტერატურის მთავარი რედაქციის მიერ (მოსკოვი—ლენინგრადი). მასში შევიდა ძირითადი შედეგები ვ. დ. კუპრაძის სადოქტორო დისერტაციისა, რომელიც მან დაიცვა 1934 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში.

**თ. ეგანიძე**

## ჩვენი უნივერსიტეტის გამოცემები

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა და უკვე იყიდება შემდეგი წიგნები:

1. **იუსტ. აბულაძე** — სპარსული ენის სახელმძღვანელო (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი). წიგნი შეიცავს X — 266 გვ. და ღირს 6 მან.

2. **ხ. ფლენტი** — ჰანურ-მეგრულის ფონეტიკა. წიგნი შეიცავს XI—206 გვ. ჩასმულია ლიდერინის ყდაში და ღირს 5 მან. და 50 კაპ.

3. **გრ. კიკნაძე** — ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის. წიგნი შეიცავს X — 438 გვ. და ღირს 10 მან.

4. **ბ. დობრინინი** — დასავლეთი ევროპის ფიზიკური გეოგრაფია. წიგნი შეიცავს VI — 464 გვ. და ღირს 17 მან.

### ბიბლიოგრაფია

## ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია

მეცნიერულად დადგენილ და გამოცემულ ტექსტებზე გულმოდგინე მუშაობა აუცილებელია სტუდენტობისათვის, რომელიც ძველ ქართულ ენას სწავლობს და მისი განვითარების კანონთა შეცნობას ცდილობს. ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მეცნიერულ გამოცემას ჩვენში სათანადო ყურადღება ექცევა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. კ. კეკელიძის აკად. ა. შანიძის, პროფ. ილ. აბულაძის და სხვათა მიერ გამოცემული მთელი რიგი ძეგლები. მაგრამ ეს გამოცემები ყოველთვის ხელმისაწვდომი არაა სტუდენტთა ფართო მასისათვის. ამავე დროს საჭიროა, რომ სტუდენტობისათვის ეს ტექსტები შერჩეულ იქნეს გარკვეული თანმიმდევრობის დაცვით, ქართული ენის განვითარების საფეხურთა გათვალისწინებით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება დოც. ი. იმნაიშვილის მიერ შედგენილი „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია", (ტ. I), რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა აკად. ა. შანიძის რედაქციით.

წიგნი წარმოადგენს მეორე, შევსებულსა და შესწორებულ გამოცემას. ამ ტომში შეტანილია V—X საუკუნეთა ძეგლები, დაწყებული ბოლნისის წარწერებით. როგორც ცნობილია, ბოლნისის სიონის წარწერები V საუკუნით თარიღდება და უძველესია ქართულ წერილობით ძეგლთა შორის. მათ მოსდევს მცხეთის, უკანგორის, საპაკდუხტის, წყაროსის, ატენის, ხუნამისის, ერედვის წარწერები.

ყველა ეს წარწერა და აგრეთვე ხანმეტი ტექსტები დაბეჭდილია ასომთავრული, ანუ მრგლოვანი ასოებით, ხოლო ალავერდის ოთხთავის ნაწყვეტები — კუთხოვანით, ანუ ნუსხურით. ამით წიგნი ერთგვარად ქართული ანბნის განვითარებაზეც იძლევა წარმოდგენას და შეიძლება პალეოგრაფიაში სამუშაოდ, იქნეს გამოყენებული.

ქრესტომათიაში შეტანილია ძველი ქართული ენის (და, საერთოდ, მწერლობის) ისეთი ბრწყინვალე ძეგლები, როგორიცაა შუშანიკის წამება, აბოს წამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და სხვა. ამათ გარდა ქრესტომათიაში შეტანილია ზოგიერთი ისეთი ძეგლიც, რომელიც პირველად ქვეყნდება და ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდება. ასეთია, სახელდობრ, ნაწყვეტები ჟსნისა, ტბეთისა და ალავერდის ოთხთავებიდან, „წინასწარმეტყუელებაჲ იონაჲსი" და სხვა. როგორც ი. იმნაიშვილი შენიშნავს, „ამ უკანასკნელი სახის ტექსტების გამოცემა მარტო პედაგოგიური ინტერესებით არ განისაზღვრება, მათ დამოუკიდებელი სამეცნიერო მნიშვნელობაც აქვთ".

ტექსტებს დართული აქვს საკმაოდ ვრცელი ტაბულები და ლექსიკონი, რომელთა მიზანია გაუადვილოს მკითხველს ძველი ქართული ენის გრამატიკული წყობისა და ლექსიკური ფონდის შესწავლა.

სახელდობრ, ტაბულებში წარმოდგენილია ცნობები ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი და ამჟამად ხმარებიდან გადავარდნილი ასოების შესახებ, მოცემულია სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღლების პარადიგმები. აქვეა გამოკვლევა საზიარო ფორმათა შესახებ და მწკრივთა ნიმუშები.

ძველი ქართული ზმნისათვის დამახასიათებელია ე. წ. პოლისემიური ფორმები, ე. ი. ისეთი, რომელთაც გარეგნული სახე (ბგერითი შემადგენლობა) ერთი აქვთ, მნიშვნელობა კი სხვადასხვა. მაგალითად, **წარვედ** ძველი ქართულით ნიშნავს: 1. წავედი (წყვ. I 3), 2. წადი! (ბრძ. II პ.), ან კიდევ: **წარვიდეს**=1. წავიდნენ (წყვ.), 2. წავიდეს (კავშ.); **აღმოიყვანა**=1. ამოიყვანა მან იგი (მოქმ. გვ.), 2. ამოყვანილ იქნა იგი (ვნ. გვარი) და ა. შ. ამგვარი საზიარო ფორმები ზოგჯერ ახალ ქართულშიც გვაქვს, მაგრამ იგი განსაკუთრებით ძველ ქართულს ახასიათებს. ამგვარ ფორმათა სიმრავლე ხშირად უქმნის დაბრკოლებას სტუდენტებს და უძნელებს მათ ძველი ქართულის დაუფლებას, ამ ფორმათა გარჩევის გარეშე კი შეუძლებელია ტექსტის შინაარსის სწორად გაგება.

ზმნათა საზიარო ფორმების გარჩევაში სტუდენტს დაეხმარება ზემოხსენებული გამოკვლევა, რომელიც ტაბულებს ერთვის.

დასასრულ, „ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიას" ახლავს ლექსიკონი, სადაც განმარტებულია საკითხავ მასალაში წარმოდგენილი სიტყვები. ლექსიკონის გაცნობა წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ რა ცვლილებები განუცდია ქართული ენის ლექსიკურ შედგენილობას ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. მრავალი სიტყვა ხმარებიდან გადავარდნილა. (მაგალითად: არდაბაგება—გაცემა, ლალატი; დიდროვა—წყალდიდობა; ეჭუა—ქოშინი; კარაული—ვირი; მუცელქმნული, მიდგომილი—ორსული და სხვა). ზოგს მნიშვნელობა უცვლია. (ასე მაგალითად, აგარაკი ძველად სახნავ-სათეს ადგილს ნიშნავდა, აზნაური—თავისუფალს, მართალი—სწორს, ცხედარი—საწოლს, ცხოველი—ცოცხალს, ცოცხალი—ჯანმრთელს და ა. შ.), სიტყვათა გარკვეული ნაწილი კი უცვლელადვე შემონახულია ახალ ქართულში (ესენია უმთავრესად ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვები: მამა, დედა, ძე, ასული, ვენახი, საწნეხელი, პური, ღვინო და სხვა მრავალი).

სიტყვათა მნიშვნელობანი ლექსიკონში საკმაოდ სრულადაა განმარტებული და ფრაზეოლოგიით ილუსტრირებული.

საერთოდ, „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია" სასარგებლო და ჩვენი სტუდენტობისათვის საჭირო წიგნია. სასურველია, ავტორმა მალე გამოაქვეყნოს ქრესტომათიის მომდევნო ტომი, სადაც შემდეგდროინდელი ძეგლები იქნება წარმოდგენილი.

**ზ. ჭუმბურიძე**

### საინტერესო თემაზე

## ქვის ფული

დღემდე ზოგიერთ კუნძულზე შემორჩენილია ნიჟარებისა და ქვისაგან დამზადებული ფული, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები იყენებდნენ. მათთან ხურდა „მონეტის" მოვალეობას მინისა და სხვა სახის მძივები ასრულებდნენ.

კუნძულ იაპის ქვის ფული პირველად მიკლუხო-მაკლაიმ აღწერა, ეს ფული წარმოადგენს ქვის მასიურ დისკოს, რომლის სისქე 90 სანტიმეტრამდე, ხოლო დიამეტრი 3 მეტრამდე აღწევს. ამ ფულის ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ოსტატობითა და გულმოდგინებით, რა ხარისხისა და ფერის ქვისაგანაა იგი დამზადებული. ამ ფულით ვაჭრობის პროცესი სრულებითაც არ მოითხოვს „ვალუტის" გადატანას ერთი ადგილიდან მეორეზე. ვაჭრობის დროს ყოფილი მეპატრონე საჯაროდ განაცხადებს, რომ ფული მან ახალ მეპატრონეს გადასცა, ფული კი კვლავ თავის ძველ ადგილზე რჩება.

ახლო წარსულში კუნძულ იაპის მოსახლეობა მოწმე იყო იმისა, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში, როცა უფასურდებოდა ესპანეთის, გერმანიის, იაპონიის ვალუტები, ადგილობრივი ქვის ფული კვლავ ინარჩუნებდა თავის სრულ მყიდველობითს უნარიანობას.

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-26-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 01525.